# შპს ოლ-პი მეტალი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

# შპს ოლ-პი მეტალი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

**ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:**


მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ---------- 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----------4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ----------5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ----------6


**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**


1. ძირითადი საქმიანობა ..... 7
2. მომზადების საფუძველი ..... 7
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ..... 7
4. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ..... 16
5. რეალიზაციის თვითღირებულება ..... 16
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 16
7. მოგების გადასახადი ..... 16
8. ძირითადი საშუალებები ..... 17
9. გადახდილი ავანსები ..... 18
10. მარაგები ..... 19
11. საკონტრაქტო აქტივები ..... 19
12. მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანება ..... 19
13. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 19
14. საწესდებო კაპიტალი ..... 20
15. მიღებული სესხები ..... 20
16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ..... 21
17. მიღებული ავანსები ..... 22
18. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები ..... 22
19. ფინანსური რისკის მართვა ..... 22
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 22
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 25

# შპს ოლ-პი მეტალი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან | 7,315,537 | 15,017,766 |
| რეალიზაციის თვითღირებულება | (5,313,351) | (12,442,804) |
| **საერთო მოგება** | **2,002,186** | **2,574,962** |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | (1,731,954) | (1,435,821) |
| **საოპერაციო მოგება** | **270,232** | **1,139,141** |
| ფინანსური ხარჯი | | |
| ფინანსური შემოსავალი | (228,861) | (214,747) |
| გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი | 955 | 4,725 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 74,245 | 76,264 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 27,523 | 29,069 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | (19,352) | (13,487) |
| | **124,742** | **1,020,966** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (991) | (365) |
| **წლის წმინდა მოგება** | **123,752** | **1,020,600** |
| **სხვა სრული შემოსავალი** | | |
| ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი | 866,853 | 572,168 |
| **წლის მთლიანი სრული შემოსავალი** | **990,605** | **1,592,768** |

დადასტურებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 3 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

**დირექტორი - გიორგი ბერაძე**

7-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

# შპს ოლ-პი მეტალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 12/31/2022 | 12/31/2021 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 8 | 8,608,889 | 7,368,728 |
| საინვესტიციო ქონება | | 68,085 | 68,085 |
| არამატერიალური აქტივები | | 11,710 | 11,710 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **8,688,684** | **7,448,524** |
| გადახდილი ავანსები | 9 | 1,037,245 | 279,469 |
| მარაგები | 10 | 649,242 | 1,122,459 |
| საკონტრაქტო აქტივები | 11 | 1,817,518 | 1,859,739 |
| საგარანტიო მოთხოვნები, მოკლევადიანი | | 16,966 | 32,929 |
| მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანება | 12 | 749,657 | 657,603 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 13 | 2,236,269 | 146,594 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **6,506,897** | **4,098,794** |
| **სულ აქტივები** | | **15,195,581** | **11,547,318** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 14 | 2,508,361 | 2,508,361 |
| გაუნაწილებელი მოგება | 14 | 609,965 | 889,246 |
| გადაფასების რეზერვი | 14 | 2,491,250 | 1,624,397 |
| **სულ კაპიტალი** | | **5,609,576** | **5,022,003** |
| მიღებული სესხები | | 3,220,023 | 3,709,171 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **3,220,023** | **3,709,171** |
| მიღებული ავანსები | 17 | 5,226,684 | 1,483,731 |
| მიღებული სესხები | 15 | 694,663 | 483,697 |
| საგადასახადო ვალდებულება | 16 | 160,371 | 299,409 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | | 284,264 | 549,305 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **6,365,982** | **2,816,143** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **15,195,581** | **11,547,318** |

დადასტურებული და ხელმოწერილია 2023 წლის 3 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

შპს "ოლ-პი მეტალი"
ALL-P METAL
400258449
"ALL-P Metal" Ltd

**დირექტორი - გიორგი ბერაძე**

7-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

# შპს ოლ-პი მეტალი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

## საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|---|
| **1 იანვარი 2021** | **2,508,361** | **1,052,229** | **189,576** | **3,750,166** |
| წლის წმინდა მოგება | - | - | 1,020,600 | 1,020,600 |
| წლის სხვა სრული შემოსავალი | - | 572,168 | - | 572,168 |
| გამოცხადებული დივიდენდი | - | - | (320,930) | (320,930) |
| **31 დეკემბერი 2021** | **2,508,361** | **1,624,397** | **889,246** | **5,022,004** |
| წლის წმინდა მოგება | - | - | 123,751 | 123,751 |
| წლის სხვა სრული შემოსავალი | - | 866,853 | | 866,853 |
| გამოცხადებული დივიდენდი | - | | (403,032) | (403,032) |
| **31 დეკემბერი 2022** | **2,508,361** | **2,491,250** | **609,965** | **5,609,576** |

დადასტურებული და ხელმოწერილია 2023 წლის 3 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

შპს "ოლ-პი მეტალ" ALL-P METAL 400258449 "ALL-P Metal" Ltd

**დირექტორი - გიორგი ბერაძე**

7-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

# შპს ოლ-პი მეტალი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| **მიღებული საოპერაციო ფულადი ნაკადები** | | |
| სამშენებლო სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი | 12,260,869 | 15,872,845 |
| სხვა მიღებული საოპერაციო ფულადი ნაკადები | 399,282 | 4,725 |
| **ჯამური მიღებული საოპერაციო ფულადი ნაკადები** | **12,660,151** | **15,877,570** |
| **გაცემული საოპერაციო ფულადი ნაკადები** | | |
| მშენებლობის ხარჯი (ხელფასები) | (846,137) | (1,715,275) |
| მშენებლობის ხარჯი (ნედლეული) | (5,543,013) | (9,420,036) |
| **მშენებლობის ჯამური ღირებულების გადინებები** | **(6,389,150)** | **(11,135,311)** |
| ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი | (1,282,519) | (883,627) |
| გადახდილი გადასახადები | (1,618,530) | (2,208,163) |
| საბანკო მომსახურება | (5,249) | (7,173) |
| გადახდილი პროცენტი | (483,091) | (438,723) |
| სხვა საოპერაციო ფულადი ნაკადები | (1,123) | (2,451) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **2,880,489** | **1,202,122** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (309,254) | (1,950,669) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | - | (6,710) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(309,254)** | **(1,957,379)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| გადახდილი დივიდენდი | (303,610) | (320,930) |
| სესხის აღება | - | 1,300,000 |
| სესხის დაფარვა | (176,409) | (423,794) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | **(480,019)** | **555,276** |
| არასაოპეაციო ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან | (1,541) | (1,638) |
| ფულადი სახსრების წმინდა ნაკადი | 2,091,216 | (199,982) |
| ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში | 146,594 | 348,214 |
| **ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს** | **2,236,269** | **146,594** |

დადასტურებული და ხელმოწერილია 2023 წლის 3 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - გიორგი ბერაძე

# შპს ოლ-პი მეტალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

## 1. ძირითადი საქმიანობა

შპს ოლ-პი მეტალი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 1 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400258449. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მგალობლიშვილის ქ., N13. კომპანია დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2019 წლის 1 თებერვალს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლითონკონსტრუქციების დამზადება/ მონტაჟს. კომპანიის 48%-იანი წილის მფლობელია შპს ელემენტ კონსტრაქშენი (ს/ნ 205208746), 50%-ის მფლობელია შპს ლიპო (ს.კ. 400253872), 1%-ის მაია ყურაშვილი (პ.ნ. 01026007114) და 1%-ის ვლადიმერ ბუსკივაძე (პ.ნ. 01003000271).

ყოველდღიური აქტივობები კომპანიაში კონტროლდება დირექტორის მიერ. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორია გიორგი ბერაძე.

## 2. მომზადების საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

### ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

გახორციელდა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის მაჩვენებლების გათვალისწინებით ხელმძღვანელობა დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

### ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში

# შპს ოლ-პი მეტალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| 1 USD/GEL | 2.7020 | 3,5040 |
| 1 EUR/GEL | 2.8844 | 3,0976 |

**შეფასების საფუძვლები**

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**საანგარიშგებო პერიოდი**

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

*პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება*

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის. ფინანსური აქტივი პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად.

გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება, როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

# შპს ოლ-პი მეტალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

**შემდგომი აღიარება**

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

• ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);

• ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები);

• ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);

• ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

**ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)**

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

• კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და

• ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

**ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

• ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან

• კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი

**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშგება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად, კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მისი ისტორული საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებულია მის დებიტორებზე და ეკონომიკური გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**ფინანსური ვალდებულებები**

**თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

**შემდგომი შეფასება**

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

**აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

**ინვესტიციები შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში**

კომპანიის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები არიან შვილობილი საწარმოები. კონტროლში იგულისხმება კომპანიის მიერ ამა თუ იმ საწარმოში ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკების მართვის უფლების (პირდაპირი ან ირიბი) განხორციელება, იმ მიზნით რომ კომპანიამ მიიღოს სარგებელი ამ საქმიანობიდან. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით გაუფასურების გამოკლებით იმ თარიღიდან როდესაც გავრცელდა კონტროლი, მის დასრულებამდე.

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით გაუფასურების გამოკლებით.

**ძირითადი საშუალებები**

## თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში.

ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. აქტივის გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად.

**შემდგომი შეფასება / აღრიცხვა**

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით. ცვეთის დათვლისთვის გამოყენებული იყო შემდეგი განაკვეთები:

| | ცვეთის % |
|---|---|
| მანქანა-დანადგარები | 20 % |
| სატრანსპორტო საშუალებები | 20 % |
| შენობები | 2 % |
| სამშენებლო აღჭურვილობა | 20% - 50% |
| ოფისის აღჭურვილობა | 20% – 50% |
| მიწა არ იცვითება | |

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

**მიღებული ავანსები**

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო

გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

**დამატებითი ღირებულების გადასახადი**

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღგ-ს მიმართ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე.

ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

**მოგების გადასახადი**

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასხადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა,საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად. 15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდსთვის, გამრვლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდიენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა,გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგასასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

**შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან**

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს აღიარებს ფასს-15-ის მიხდვით, თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

► ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ვალდებულება აიღეს;

► კომპანიას შეუძლია გადასცეს საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;

► კომპანიას შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;

► ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება კომპანიის სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკები) და ;

► მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება: შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავალი აღიარდება, როდესაც ან როგორც კი შესრულდება კონტრაქტით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტორლის გადაცემა ხდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან დროის გარკვეულ მომენტში.

**შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან**

სამშენებლო ხელშეკრულებები მოიცავს შესასრულებელ ვალდებულებას. სამშენებლო სამუშაოებში შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებას ან გასაწევ მომსახურებას.

**შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა**

კომპანიის პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის მოცემულია ქვემოთ:

ამონაგები სამშენებლო საქმიანობიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასებისას კომპანია იყენებს გამოყენებული რესურსების მეთოდს. აქედან გამომდინარე, საწარმო ამონაგების აღიარებისას ითვალისწინებს შესასრულებელი ვალდებულების შესასრულებლად განხორციელებულ სამუშაოს, ან გამოყენებული რესურსების თანაფარდობის საფუძველზე, მოცემული შესასრულებელი ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მთლიან მოსალოდნელ რესურსებთან მიმართებით. როდესაც საწარმოს ძალისხმევა (სამუშაოები), ან რესურსები თანაბარზომიერადაა განაწილებული შესასრულებელი ვალდებულების მთელ პერიოდზე, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ამონაგების წრფივი მეთოდის საფუძველზე აღიარება.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

**დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურლებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტინის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

**მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

**ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი:** კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტამდე ან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელ დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკრგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით.

**ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა:** კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

**სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება:** სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს. მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

**დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები:** კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას რეალური ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არა დაკავშირებულ მხარეებთან.

## 4. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან | 7,315,537 | 15,017,766 |
| **სულ შემოსავალი** | **7,315,537** | **15,017,766** |

## 5. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაცის თვითღირებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

| მასალა | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ხელფასი | 2,946,086 | 8,841,262 |
| მენარდე | 1,567,616 | 1,968,109 |
| იჯარის ხარჯი | 149,035 | 34,575 |
| საწვავი | 29,389 | 1,108,317 |
| ტრანსპორტირების ხარჯი | 48,432 | 44,167 |
| ცვეთის ხარჯი | 8,566 | 23,075 |
| სხვა ხარჯი | 271,845 | 283,595 |
| სულ | 292,382 | 139,704 |
| | **5,313,351** | **12,442,804** |

## 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ხელფასის ხარჯი | 820,939 | 1,006,256 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 90,615 | 70,897 |
| საწვავის ხარჯი | 45,684 | 48,003 |
| მარაგების კორექტირება | 308,578 | 16,602 |
| დებიტორების გაუფასურება | 56,776 | 34,692 |
| საპენსიო ხარჯი | 51,149 | 45,980 |
| საგადასახადო ხარჯი | 53,027 | 39,240 |
| კომუნალური ხარჯი | 76,370 | 72,587 |
| საკანცელარიო ხარჯი | 3,337 | 5,871 |
| საკონსულტაციო ხარჯი | 24,051 | 17,234 |
| დაზღვევის ხარჯი | 18,373 | 9,725 |
| საკომუნიკაციო ხარჯი | 5,734 | 4,676 |
| მივლინების ხარჯი | 13,830 | 2,829 |
| ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯი | 101,351 | - |
| სხვა ხარჯი | 62,139 | 61,229 |
| **სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები** | **1,731,953** | **1,435,821** |

## 7. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს 991 და 365 ლარს შესაბამისად.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით იმ ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

## 8. ძირითადი საშუალებები

| | მიწის ნაკვეთები | შენობა-ნაგებობები | დაუმთავრებელი მშენებლობა | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა | სატრანსპორტო საშუალებები | სამშენებლო აღჭურვილობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი, 2020** | **3,073,675** | **1,013,838** | **-** | **770,012** | **123,996** | **389,244** | **14,264** | **5,385,029** |
| შეძენა | 81,281 | - | - | 354,824 | 64,092 | 23,390 | 170 | 523,757 |
| კაპიტალიზება | - | 244,815 | 1,316,711 | - | - | - | - | 1,561,526 |
| გაყიდვა/ჩამოწერა | - | - | - | (116,489) | (4,825) | - | (85) | (121,399) |
| გადაფასება | 572,168 | - | - | - | - | - | - | 572,168 |
| კორექტირება | 82,676 | - | - | (42,672) | (5,871) | - | 5,050 | 39,183 |
| **31 დეკემბერი, 2021** | **3,809,800** | **1,258,653** | **1,316,711** | **965,675** | **177,392** | **412,634** | **19,399** | **7,960,264** |
| შეძენა | - | 9,519 | 486,784 | 104,421 | 24,915 | 170,399 | - | 796,038 |
| გადაფასება | 866,854 | - | - | - | - | - | - | 866,854 |
| გასვლა | - | - | - | (510) | (75,953) | (113,950) | (7,101) | (197,514) |
| **31 დეკემბერი, 2022** | **4,676,654** | **1,268,171** | **1,803,495** | **1,069,586** | **126,354** | **469,083** | **12,298** | **9,425,641** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი, 2020** | **-** | **(31,703)** | **-** | **(130,552)** | **(33,700)** | **(56,838)** | **(8,979)** | **(261,772)** |
| ცვეთის ხარჯი | - | (20,736) | - | (184,905) | (64,129) | (82,328) | (2,396) | (354,494) |
| ჩამოწერა | - | - | - | 20,504 | 4,224 | | 2 | 24,730 |
| **31 დეკემბერი, 2021** | **-** | **(52,439)** | **-** | **(294,953)** | **(93,605)** | **(139,166)** | **(11,373)** | **(591,536)** |
| ცვეთის ხარჯი | - | (25,351) | | (204,228) | (40,320) | (90,074) | (2,485) | (362,459) |
| ჩამოწერა | - | | | 510 | 75,953 | 53,678 | 7,101 | 137,242 |
| **31 დეკემბერი, 2022** | **-** | **(77,790)** | **-** | **(498,671)** | **(57,972)** | **(175,562)** | **(6,757)** | **(816,752)** |
| წმინდა საბალანსო ღირებულება | | | | | | | | |
| **31 დეკემბერი, 2021** | **3,809,800** | **1,206,214** | **1,316,711** | **670,722** | **83,787** | **273,468** | **8,026** | **7,368,728** |
| **31 დეკემბერი, 2022** | **4,676,654** | **1,190,381** | **1,803,495** | **570,915** | **68,383** | **293,520** | **5,541** | **8,608,889** |

## 9. გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| გადახდილი ავანსები იურიდიული პირებზე | 1,037,092 | 258,339 |
| თანამშრომლებზე გადახდილი ავანსები | 153 | 21,130 |
| **სულ გადახდილი ავანსები** | **1,037,245** | **279,469** |

## 10. მარაგები

მარაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| მასალები | 1,008,345 | 1,183,472 |
| მზა პროდუქცია | - | - |
| მარაგების გაუფასურება | (359,103) | (61,012) |
| **სულ მარაგები** | **649,242** | **1,122,459** |

## 11. საკონტრაქტო აქტივები

საკონტრაქტო აქტივი არის კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებული უფლება ანაზღაურებაზე. როდესაც კომპანია ვალდებულებას ასრულებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის მანამდე გადაცემით, სანამ მომხმარებელი გადაუხდის ანაზღაურებას, ან სანამ ამ საქონლის ან მომსახურების ანაზღაურების გადახდის ვადა დადგება, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო აქტივს, მოთხოვნის სახით ასახული თანხების გამოკლებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო აქტივები წარმოდგენილია 1,817,518 ლარით, ხოლო 2010 წლის 31 დეკმებერს 1,859,739 ლარით.

## 12. მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანება

მოთხოვნები სამშენებლო კონტრაქტებიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 872,445 | 723,576 |
| გაუფასურების ანარიცხები | (122,788) | (66,011) |
| მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ | - | 38 |
| **სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება** | **749,657** | **657,603** |

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

| | |
|---|---|
| **საეჭვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბერი 2019** | **(10,138)** |
| წლის რეზერვის დარიცხვა | (27,807) |
| რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში | **6,626** |
| **საეჭვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკმბერი 2020** | **(31,319)** |
| წლის რეზერვის დარიცხვა | (34,960) |
| რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში | 268 |
| **საეჭვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკმბერი 2021** | **(66,011)** |
| წლის რეზერვის დარიცხვა | (70,545) |
| რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში | 13,500 |
| **საეჭვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკმბერი 2022** | **(122,788)** |

## 13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 1,032,659 | 137,737 |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში | 1,203,560 | 8,327 |
| ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში | 50 | 531 |
| **სულ ფული და ფულის ეკვივალენტები** | **2,236,269** | **146,594** |

## 14. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,508,361 ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილები ნაწილდება შემდეგნაირად:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლიპო, 400253872 – 50%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ელემენტ კონსტრაქშენი, 205208746 – 48%;
- მაია ყურაშვილი, 01026007114 – 1%;
- ვლადიმერ ბუსკივაძე, 01003000271 – 1%

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გაიცა 303,610 ლარის დივიდენდი (2021 წელს გამოაცხადა და გაიცა 320,930 ლარის დივიდენდი).
ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება საანგარიშგებო პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

## 15. მიღებული სესხები

სესხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| კრედიტის გამცემი | ხელშეკრულება | სესხის ტიპი | საპროცენტო განაკვეთი | ვალუტა | სესხის გაცემის თარიღი | სესხის დასრულების თარიღი | 31 დეკემბერი, 2022 | | 31 დეკემბერი, 2021 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | მოკლევადიანი ნაწილი | გრძელვადიანი ნაწილი | მოკლევადიანი ნაწილი | გრძელვადიანი ნაწილი |
| სს "პროკრედიტ ბანკი" | 75.6439 | სესხი | 5.0% | EUR | 05.02.20 | 05.02.30 | 42,960 | 343,358 | 54,678 | 481,725 |
| სს "პროკრედიტ ბანკი" | 75.6790 | საკრედიტო ხაზი | 11.5% | GEL | 18.06.20 | 20.06.23 | 300,000 | - | 300,000 | - |
| სს "პროკრედიტ ბანკი" | 75.6915 | სესხი | 11.0% | GEL | 20.11.20 | 11.11.30 | 105,407 | 1,920,503 | 7,645 | 1,242,355 |
| სს "პროკრედიტ ბანკი" | 75.6916 | სესხი | 11.25% | GEL | 31.07.20 | 10.08.27 | 165,945 | - | 50,499 | 949,501 |
| სს "პროკრედიტ ბანკი" | 75.7302 | სესხი | 14.3% | GEL | 08.12.20 | 09.07.30 | 80,351 | 956,162 | 70,874 | 1,035,591 |
| **სულ** | | | | | | | **694,663** | **3,220,023** | **483,697** | **3,709,171** |

2022 წელს კომპანიის ფინანსურმა ხარჯმა შეადგინა 228,861 ლარი (2020 წელს: 214,747 ლარი).

## 16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულება | 8,720 | 335,972 |
| გადასახდელი ხელფასი | 177,024 | 204,613 |
| გადასახდელი დივიდენდები | 98,520 | 8,720 |
| **სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება** | **284,264** | **549,305** |

## 17. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებულ წინასწარ ჩარიცხულ თანხებს, რომლებიც ყოველთვიური შესრულებების მიხედვით გაიქვითება შესაბამისი სამშენებლო კონტრაქტის დასრულებისას. მიღებული ავანსები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,037,045 ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1,483,731 ლარს

## 18. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

**საგადასახადო კანონმდებლობა:** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

## 19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

### საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო რისკთან:

| ფინანსური აქტივები | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 749,657 | 657,603 |
| საკონტრაქტო აქტივები | 1,817,518 | 1,859,739 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 2,236,269 | 146,594 |
| საგარანტიო მოთხოვნები | 16,966 | 16,966 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **4,820,410** | **2,680,903** |

| ფინანსური ვალდებულებები | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 284,264 | 549,305 |
| მიღებული სესხები | 3,914,686 | 4,192,869 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 160,370 | 299,409 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **4,359,320** | **5,041,583** |

### საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა-სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიაროზა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით. ქვემოთ მოცემულია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ლარის გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ თითოეული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენა ექნებოდა მოგება/ზარალზე ქვემოთ მოცემული ღირებულებით:

| 31 დეკემბერი 2022 | მონეტარული ფინანსური აქტივი | მონეტარული ფინანსური ვალდებულება | წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია |
|---|---|---|---|
| აშშ დოლარი | 97,751 | (11,960) | 85,791 |
| ევრო | 7,839 | (386,318) | (378,479) |
| **სულ** | **105,590** | **(398,278)** | **(292,688)** |

| 31 დეკემბერი 2021 | მონეტარული ფინანსური აქტივი | მონეტარული ფინანსური ვალდებულება | წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია |
|---|---|---|---|
| აშშ დოლარი | 111 592 | 5 684 | 105 908 |
| ევრო | 7 856 | 536 403 | (528 548) |
| **სულ** | **119 448** | **542 087** | **(422 640)** |

| | 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |
|---|---|---|
| | ზეგავლენა მოგება-ზარალზე | ზეგავლენა მოგება-ზარალზე |
| აშშ დოლარის 10%-ით გამყარება | 8,579 | 10,591 |
| აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება | (8,579) | (10,591) |
| ევროს 10%-ით გამყარება | (37,848) | (52,855) |
| ევროს 10%-ით გაუფასურება | 37,848 | 52,855 |

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, რადგანაც კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებული განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2022 და 2021 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

| ფინანსური აქტივები | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 749,657 | - | - | 749,657 |
| საკონტრაქტო აქტივები | 1,817,518 | - | - | 1,817,518 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 2,236,269 | - | - | 2,236,269 |
| საგადასახადო აქტივები | - | - | - | - |
| საგარანტიო მოთხოვნები | 16,966 | - | - | 16,966 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **4,820,410** | - | - | **4,820,410** |

| ფინანსური ვალდებულებები | | | | |
|---|---|---|---|---|
| *2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით* | 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 284,264 | - | | 284,264 |
| მიღებული სესხები | 694,663 | 897,039 | 2,322,984 | 3,914,686 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **978,927** | **897,039** | **2,322,984** | **4,198,950** |
| **წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია** | **3,841,483** | **(897,039)** | **(2,322,984)** | **621,460** |

| ფინანსური აქტივები | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 657,603 | | | 657,603 |
| საკონტრაქტო აქტივები | 1,859,739 | | | 1,859,739 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 146,594 | | | 146,594 |
| საგადასახადო აქტივები | - | | | - |
| საგარანტიო მოთხოვნები | 32,929 | | | 32,929 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **2,696,866** | - | - | **2,696,866** |

| ფინანსური ვალდებულებები | | | | |
|---|---|---|---|---|
| *2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით* | 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
| მიღებული სესხები | 483,697 | 1,386,187 | 2,322,984 | 4,192,869 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 549,305 | | | 549,305 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 299,409 | | | 299,409 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **1,332,412** | **1,386,187** | **2,322,984** | **5,041,583** |
| **წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია** | **1,364,454** | **(1,386,187)** | **(2,322,984)** | **(2,344,717)** |

## 20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ", წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და

თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

**ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:**

| ფინანსური ანგარიშგების არე | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანება | - | 432,050 |
| გადახდილი ავანსი | 540,000 | - |
| მისაღები გარანტიები | - | 32,930 |

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | - | 282,749 |
| მიღებული ავანსი | 267,981 | - |

**დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:**

| დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ: | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი | 16,998 | 23,039 |
| რეალიზაციის თვითღირებულება | 2,495,440 | 243,999 |

| დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული შემოსავალი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| შემოსავალი | 3,574,253 | 13,040,478 |

| უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ხელფასი და სხვა განაცემი | 81,633 | 267,368 |

## 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 3 ოქტომბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 385,250 ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილიც არის გამოცემის თარიღისთვის.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შეიძინა 85,391 ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარები და 103,354 ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები და მოახდინა 54,862 ლარის ღირებულების რეალიზაცია.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.